პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 17 თებერვალი, 1950 წ. № 36 (8596). ფასი 20 კაპ.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას მისცემენ სოციალისტური მრეწველობის ახალ აყვავებას, იმას, რომ ჩვენი სოციალისტური მეურნეობა განუხრელად ვითარდებოდეს კიდევ უფრო ჩქარი ტემპით.

(საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან).

მ ი მ ა რ თ ვ ა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა

ყველა ამომრჩეველს, მუშებს, გლეხებს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, საბჭოთა ინტელიგენციას

ამხანაგებო!

1950 წლის 12 მარტს საბჭოთა კავშირის მშრომელები აირჩევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

მომავალ არჩევნებში, ისევე როგორც 1937 და 1946 წლების არჩევნებში, საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) გამოდის ერთიანი ბლოკით, მჭიდრო კავშირით უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკმა ცხადყო თავისი დიადი ძალა, იგი საბჭოთა ხალხის ბუნებრივი და სასიცოცხლო საქმეა, საბჭოთა ხალხის უძლეველი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის გამოხატულებაა. ერთსულოვნად მისცეს რა ხმა წარსულ არჩევნებში ამ ნაცადი ბლოკის კანდიდატებს, საბჭოთა კავშირის მოქალაქეებმა ხმა მისცეს ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ისევე როგორც წარსული საარჩევნო კამპანიების დროს, პარტია არჩევნებში გამოდის პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან და მშრომელთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან ერთად. დეპუტატობის კანდიდატები საერთო იქნებიან როგორც კომუნისტებისათვის, ისე უპარტიოებისათვის.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს ამომრჩევლებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში ხმა მისცენ კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს. პარტია იმედოვნებს, რომ ყველა ამომრჩეველი კვლავ, როგორც ერთი კაცი, ერთსულოვნად აირჩევს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში კანდიდატებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია ასახელებს უპარტიოებთან ერთად, კვლავ გაუწევს დიდ ნდობას ლენინ-სტალინის პარტიას.

კომუნისტურ პარტიას იმედი აქვს ამომრჩეველთა ამ ნდობისა, მხარდაჭერისა, რადგან საბჭოთა ადამიანები მრავალი წლის გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ სწორია პარტიის პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. პარტიის მთელი მოღვაწეობა ხალხისადმი თავდადებულ სამსახურს წარმოადგენს და მას არა აქვს უფრო მაღალი ინტერესები, ვიდრე არის ხალხის ინტერესები.

ბოლშევიკების პარტიამ ჩვენი ქვეყნის ხალხები მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე 1917 წლის ოქტომბერში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, მოაწყო ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის განადგურება. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალისტური საზოგადოება, სამუდამოდ მოსპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მოსპო სოციალური და ეროვნული ჩაგვრა, ყველა პირობა შექმნა შეძლებული და კულტურული ცხოვრებისათვის. დიად სოციალისტურ გარდაქმნათა შედეგად საბჭოთა კავშირი მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ გადაიქცა. დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით დაიცვა სოციალიზმის დიადი მონაპოვარნი გერმანელი და იაპონელი იმპერიალისტებისაგან, მთელი მსოფლიოს ხალხები იხსნა ფაშისტური დამონების საფრთხისაგან. ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალი დიდი წარმატებანი მოიპოვა.

საბჭოთა ხალხი კანონიერი სიამაყით უყურებს თავისი ბრძოლისა და მუშაობის შედეგებს. საბჭოთა ადამიანები გამსჭვალული არიან ურყევი რწმენით, რომ ჩვენი ქვეყანა კვლავაც წარმატებით ივლის წინ კომუნიზმის გზით. ახლა არ არსებობს უფრო მტკიცე სახელმწიფო, ვიდრე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირია. საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება საზოგადოების ორგანიზაციის უკეთეს ფორმას, მსოფლიოში ყველაზე სიცოცხლისუნარიან წყობილებას წარმოადგენს.

ჩვენს სამშობლოს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ჯერ არასოდეს არ ჰქონია ესოდენ სამართლიანი და კარგად მოწყობილი სახელმწიფო საზღვრები. საბჭოთა უკრაინამ ერთ ოჯახად შეკრიბა მთელი უკრაინელი ხალხი. საბჭოების დროშის ქვეშ გაერთიანდა ბელორუსი ხალხი. ერთიან საბჭოთა რესპუბლიკად გაერთიანდა მოლდაველი ხალხი. აღარ არის აღმოსავლეთი პრუსია, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩვენს სამშობლოზე თავდასხმის პლაცდარმს წარმოადგენდა. თავდაცვის განსამტკიცებლად დამკვიდრდა ახალი საზღვრები ლენინგრადის ახლოს. გაძლიერდა ჩვენი საზღვრების თავდაცვა შორეულ აღმოსავლეთში.

ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ეს მსოფლიო ისტორიული წარმატებანი საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის, მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. ლენინ-სტალინის პარტიას თავის წმიდათა წმიდა მოვალეობად მიაჩნია კვლავაც განამტკიცოს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო—ჩვენი ქვეყნის ხალხთა მშვიდობიანი შრომის ბურჯი.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას მისცემენ იმას, რომ ჩვენი სოციალისტური სამშობლო კვლავაც იყოს მძლავრი და თავისუფალი, რომ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო იყოს ძლიერი და უძლეველი.

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ჩვენს სახალხო მეურნეობას მიაყენეს უდიდესი ზარალი, დაანგრიეს ასობით და ათასობით ქალაქი და სოფელი, საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ყოველი სხვა, თუნდაც ყველაზე დიდი კაპიტალისტური სახელმწიფო, ასეთი ზარალი რომ მოსვლოდა, უეჭველად ათეული წლებით დაიხევდა უკან, აუცილებლად გადაიქცეოდა მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ.

საბჭოთა სახელმწიფოს ეს როდი მოუვიდა. სსრ კავშირის სოციალისტურ ეკონომიკას, რომელიც თავისუფალია წარმოების ანარქიისაგან, კრიზისებისაგან, უმუშევრობის საშინელებისაგან, მასების სიღატაკისა და კაპიტალიზმის სხვა წყლულებისა და ბიწიერებისაგან, აქვს უდიდესი უპირატესობანი კაპიტალისტური ეკონომიკის წინაშე. გაითვალისწინა რა საბჭოთა სოციალისტური წყობილების მძლავრი ძალები, ბოლშევიკების პარტიამ დასახა ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების და საბჭოთა კულტურის შემდგომი აყვავების ჩქარი ტემპი.

პარტიისა და ხალხის დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში ამომრჩეველთა კრებაზე 1946 წლის 9 თებერვალს განსაზღვრა კომუნისტური პარტიის მუშაობის გეგმები უახლოესი დროისათვის: აღვადგინოთ ჩვენი ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღვადგინოთ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადავაჭარბოთ ამ დონეს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ოდენობით. უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის ამხანაგმა სტალინმა დასახა სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის პროგრამა იმ ანგარიშით, რომ ჩვენი მრეწველობის დონე ავამაღლოთ, მაგალითად, ერთისამად ომამდელ დონესთან შედარებით, და განსაზღვრა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზები ჩვენს ქვეყანაში.

კომუნისტური პარტიის მოწოდებით მთელ ჩვენს ქვეყანაში გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. ახალი ძალით გამომჟღავნდა საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ინიციატივა, მათი უსაზღვრო ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი.

საბჭოთა ხალხმა ახალ მძლავრ აღმავლობას მიაღწია სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. დაიმსხვრა იმპერიალისტების ის იმედი, რომ საბჭოთა კავშირი, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო კაცობრიობის მტერზე — ფაშიზმზე გამარჯვებისათვის, თავს ვერ გაართმევდა ომისშემდგომი მშენებლობის სიძნელეებს.

ომისშემდგომ წლებში განუხრელად იზრდება და მტკიცდება ჩვენი მრეწველობა, მისი წარმატებანი ახარებენ ყველა საბჭოთა ადამიანს. მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო ძლიერად ჩნდება მზარდი ეკონომიური კრიზისის ნიშნები, მცირდება სამრეწველო წარმოების მოცულობა, იზრდება უმუშევრობა, საბჭოთა მრეწველობის საერთო პროდუქცია ომისშემდგომი ხუთწლედის განვლილ პერიოდში ყოველწლიურად დიდდებოდა 20 და მეტი პროცენტით. სსრ კავშირის მთელი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1949 წელს ომამდელი 1940 წლის წარმოებას 41 პროცენტით გადააჭარბა. განვლილი წლის დამლევს მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვებამ გადააჭარბა ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დაწესებულ დონეს. მიღწეულია სამრეწველო წარმოების ომამდელი დონე რაიონებში, რომლებმაც მტრის ოკუპაცია განიცადეს. სწრაფად ვითარდება ჩვენს ქვეყანაში რკინიგზის, წყალთა, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტი.

ჩვენს საწარმოებში ინერგება ახალი მოწინავე ტექნიკა, ფართო მასშტაბით ხორციელდება შრომატევად და მძიმე სამუშაოთა მექანიზაცია, წარმოების პროცესთა ავტომატიზაცია. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად აადვილებს საბჭოთა ადამიანის შრომას, ზრდის მის ნაყოფიერებას, უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვების გადიდებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას.

სოციალისტური მრეწველობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში ეს თვალსაჩინო წარმატებანი საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით.

კომუნისტური პარტია ყველა მშრომელთან ერთად კვლავაც იბრძოლებს სსრ კავშირის სოციალისტური მრეწველობისა და ტრანსპორტის განუხრელი აღმავლობისათვის.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას მისცემენ სოციალისტური მრეწველობის ახალ აყვავებას, იმას, რომ ჩვენი სოციალისტური მეურნეობა განუხრელად ვითარდებოდეს კიდევ უფრო ჩქარი ტემპით.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტურმა სოფლის მეურნეობამ ომისშემდგომი განვითარების პირობებში კვლავ დაგვანახვა თავისი დიადი სასიცოცხლო ძალა. საბჭოთა მთავრობის უდიდესი დახმარების შედეგად და კოლმეურნე გლეხობის თავდადებული შრომის ჟეოხებით ჩვენმა სოფლის მეურნეობამ წარმატებით დაძლია ომის შედეგები და განუხრელად ვითარდება. სოციალისტური სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ მთლიანად გასულ 1949 წელს გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. სოფლის მეურნეობაში უკვე გადაწყდა მარცვლეულის პრობლემა — მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა 7,6 მილიარდი ფუთი შეადგინა, გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს და თითქმის მიაღწია ხუთწლიანი გეგმით 1950 წლისათვის დაწესებულ დონეს. ბამბის, სელის, მზესუმზირას და კარტოფილის მოსავლიანობამ და საერთო მოსავალმაც გადააჭარბა ომამდელ დონეს. სერიოზული წარმატებანია მიღწეული საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღდგენასა და განვითარებაში. ამჟამად კოლმეურნეობებს მეტი საზოგადოებრივი პროდუქტიული პირუტყვი ჰყავთ, ვიდრე ომამდელ 1940 წელს.

წარმატებით ხორციელდება ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმა. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1949 წელს თითქმის ორმაგად შეასრულეს ტყის გაშენების გეგმა. საბჭოთა გლეხობა დიდი აღფრთოვანებით იბრძვის საზოგადოებრივი მეცხოველეობის სამწლიანი გეგმის შესრულებისათვის. წლითიწლობით მატულობს სოფლის მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა. უკვე 1949 წელს ჩვენმა კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ტრაქტორი, ავტომობილები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები ერთისამად-ერთიოთხად მეტი მიიღეს, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება საბჭოთა სოფლის ელექტროფიკაცია. ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო შრომა სულ უფრო იქცევა ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად. ქრება ქალაქსა და სოფელს შორის არსებული ძველი წინააღმდეგობა.

სოფლის მეურნეობის აღმავლობაში, საბჭოთა სოფელში სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში ეს თვალსაჩინო წარმატებანი ჩვენმა ხალხმა მოიპოვა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით.

კომუნისტური პარტია ამოცანად ისახავს უზრუნველყოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, განამტკიცოს ჩვენი კოლმეურნეობები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და საბჭოთა მეურნეობები. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი მიწათმოქმედება მუდამ იძლეოდეს მარცვლეულის, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვს და მყარ მოსავალს, რომ უფრო სწრაფად ვითარდებოდეს ჩვენი საზოგადოებრივი მეცხოველეობა, რომ უფრო მრავლდებოდეს კოლმეურნეობათა სოციალისტური საკუთრება, უფრო შეძლებულად და უფრო კულტურულად ცხოვრობდნენ კოლმეურნეები.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას მისცემენ ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ აყვავებას, მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ხოლო მრეწველობისათვის ნედლეულის სიუხვის შექმნას, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალ-ახალ წარმატებას.

სახალხო მეურნეობის მუდმივი ზრდის საფუძველზე განუხრელად უმჯობესდება ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობა. ცხოვრება დღითიდღე უფრო და უფრო მდიდარი და შეძლებული ხდება.

მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში სიღატაკე და უმუშევრობა იზრდება, კატასტროფულად ქვეითდება მშრომელთა ცხოვრების დონე, საბჭოთა კავშირში განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე. კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, სოციალიზმი წარმოუდგენელია ხალხის კეთილდღეობისათვის სახელმწიფოს ყოველდღიური ზრუნვის გარეშე. ეს არის ჩვენი სოციალისტური საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი კანონი. საბჭოთა ადამიანებისათვის უცნობია უმუშევრობის საშინელება და უმუშევრობასთან დაკავშირებული ყველა უბედურება. მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტლივ მატულობს.

საბჭოთა კავშირის ნაციონალურმა შემოსავალმა 1949 წელს 36 პროცენტით გადააჭარბა 1940 წლის დონეს. ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავლის განუწყვეტელმა ზრდამ უზრუნველყო მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის მატერიალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მუშა-მოსამსახურეთა შემოსავალი, თითო მომუშავეზე გამოანგარიშებით, 1949 წელს, შესადარი ფასებით, 24 პროცენტით გადიდდა 1940 წელთან შედარებით. გლეხების შემოსავალი შესაბამისად 30 პროცენტით და უფრო მეტად გადიდდა.

1947 წელს საბჭოთა კავშირში განხორციელდა ფულის რეფორმა და გაუქმდა სურსათისა და სამრეწველო საქონლის საბარათო სისტემა. ამასთან ერთად განხორციელებულმა მასობრივი მოხმარების საქონლის საცალო ფასების შემცირებამ წლის განმავლობაში მოსახლეობას დაახლოებით 86 მილიარდი მანეთი მოგება მისცა. ფასების მეორე შემცირებამ, რაც 1949 წლის 1 მარტისათვის დამთავრდა, დამატებით უზრუნველყო მოსახლეობისათვის წლის განმავლობაში დაახლოებით 71 მილიარდი მანეთი მოგება. ფასების შემცირების პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგად მატულობს საბჭოთა მანეთის მყიდველობითი უნარი, განუხრელად იზრდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი. სისტემატურად ფართოვდება საქონელბრუნვა, დიდდება ფართო მოხმარების საგნების წარმოება. უკვე 1949 წელს უმნიშვნელოვანეს სახეობათა საქონლის სახალხო მოხმარებამ ომამდელ დონეს გადააჭარბა.

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა საბინაო მშენებლობა. ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხ წელიწადში ქალაქებში აღდგენილ და ახლად აშენებულ იქნა 72 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი; სოფლად ამ ხნის განმავლობაში აგებულია 2 მილიონ 300 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი, ყველგან შენდება საავადმყოფოები, მაღაზიები, საბავშვო და კულტურული დაწესებულებანი. საბჭოთა მოსახლეობა უფასო საექიმო დახმარებით სარგებლობს. იზრდება მშრომელთათვის სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი. საბჭოთა სახელმწიფო დიდ დახმარებას უწევს მრავალშვილიან დედებს, ღრმა მოხუცებულებს, ომისა და შრომის ინვალიდებს.

ეს მიღწევები თავისი მატერიალური კეთილდღეობის აღმავლობაში საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მშრომელთა საჭიროებათათვის ჩვენი მამის და მეგობრის დიდი სტალინის განუწყვეტელი ზრუნვის მეოხებით.

კომუნისტური პარტია კვლავაც იბრძოლებს საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლებისათვის. იგი იბრძოლებს სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის შემდგომი ზრდისათვის, მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდებისათვის, მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების შემდგომი შემცირებისათვის შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საფუძველზე.

პარტია ამოცანად ისახავს კვლავაც გააფართოოს საბინაო მშენებლობა, ყოველდღიურად იზრუნოს ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის, სკოლებისა და საავადმყოფოების, საბავშვო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას მისცემენ ჩვენი ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას, საბჭოთა ადამიანების უფრო ბედნიერ, შეძლებულ და კულტურულ ცხოვრებას.

კომუნისტურმა პარტიამ ომისშემდგომ პერიოდში მიზნად დაისახა აღადგინოს ფაშისტი ბარბაროსების მიერ დანგრეული სკოლები და სხვა კულტურული დაწესებულებანი, მიაღწიოს სსრ კავშირში კულტურის შემდგომ აყვავებას. საბჭოთა მეცნიერებას ამხანაგმა სტალინმა დაუსახა ამოცანა—დაეწიოს და უახლოეს ხანში გაუსწროს მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

უკანასკნელი არჩევნების შემდეგ განვლილი ოთხი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში აღდგენილი და აშენებულია ათასობით ახალი სკოლა, ბიბლიოთეკა, კლუბი, თეატრი, კინო. დაწყებითს, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში, ტექნიკუმებსა და სხვა სპეციალურ სასწავლებლებში 36 მილიონზე მეტი ახალგაზრდა სწავლობს. ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლა. ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში 1.128 ათასი კაცი სწავლობს, რაც 316 ათასით აღემატება სტუდენტთა ომამდელ რიცხვს. საბჭოთა მეცნიერებამ, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება, სერიოზული წარმატებანი მოიპოვა. საბჭოთა მეცნიერები დაეუფლნენ ატომის ენერგიის მიღების საიდუმლოებას. საბჭოთა მეცნიერების ნოვატორები, რომლებიც გარემოსილი არიან პარტიისა და მთავრობის ყურადღებითა და ზრუნვით, ხელს უწყობენ სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში წარმატებით ვითარდება ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური ლიტერატურა და ხელოვნება. შეიქმნა ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალიდეური და პატრიოტული ნაწარმოებნი, რომელნიც ხალხის ინტერესებს ემსახურებიან, ასახავენ მის შემოქმედებითს ღონისძიებებს, მის გმირობასა და თავდადებას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხმა ეს წარმატებანი მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. კომუნისტური პარტია მიზნად ისახავს უახლოეს წლებში უფრო მეტი წარმატება მოიპოვოს საბჭოთა კულტურის დარგში. პარტია იბრძოლებს საბჭოთა მეცნიერების ახალი მიღწევებისათვის, განუხრელი ტექნიკური პროგრესისათვის მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას მისცემენ ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების შემდგომ აღმავლობას, მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის განუხრელ ამაღლებას, საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის ახალ აყვავებას.

ჩვენს მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოში ყველა ხალხი განვითარების ერთი საერთო სოციალისტური გზით მიდის. ხალხთა დიადი მეგობრობა, მათი ძმური თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, რაც სსრ კავშირში სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშით ვითარდება, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში წინათ ჩაგრულმა ერებმა უმაგალითო პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აყვავებას მიაღწიეს. სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, რომლის სულისჩამდგმელია ამხანაგი სტალინი, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ერთ-ერთი წყაროა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა უფრო განმტკიცდა და გამოიწრთო. ომმა ახალი ძალით დაანახვა მთელ მსოფლიოს, რომ ეროვნული საკითხი და ერთა თანამშრომლობის პრობლემა სსრ კავშირში უკეთ არის გადაწყვეტილი, ვიდრე რომელიმე სხვა მრავალეროვან სახელმწიფოში.

სოციალისტური ერების მეგობრობა და ურთიერთდახმარება სსრ კავშირში მტკიცდება და ვითარდება. ხალხთა მეგობრობის ერთ-ერთი გამოხატულებაა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ძმური დახმარება მტრის ოკუპაციის გამო დაზარალებული რესპუბლიკებისადმი. ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში მთელი ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების ინტერესები შეხამებულია თვითეული ცალკე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ინტერესებთან.

სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის განმტკიცებაში დიდი წარმატებანი მიღწეულია ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით.

კომუნისტური პარტია კვლავაც განამტკიცებს სსრ კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას — ჩვენი სამშობლოს უძლეველობის საწინდარს, საბჭოთა კავშირის ხალხთა დამოუკიდებლობისა და შემდგომი აყვავების ბურჯს. სანამ ჩვენში ხალხთა მეგობრობა არსებობს და მტკიცდება, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. ჩვენთვის საშიში არ არის არავითარი მტერი, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას მისცემენ იმას, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები კვლავაც თავისუფალი, თანასწორუფლებიანი იყვნენ, რომ კვლავაც იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში სულ უფრო მწვავდება კლასობრივი წინააღმდეგობანი, ბურჟუაზია კვლავ აწარმოებს შეტევას მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისა და უფლებების წინააღმდეგ, ჩვენში, სოციალისტური წყობილების პირობებში, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათან გადასვლის პირობებში მტკიცდება ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სულ უფრო ვითარდება სოციალისტური დემოკრატია, იზრდება მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა. საბჭოთა პატრიოტიზმის კეთილშობილური იდეა კომუნიზმის მშენებელთა მტკიცედ დარაზმულ მძლავრ არმიად აერთიანებს მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას. ხელმძღვანელობს რა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას, ბოლშევიკების პარტია განუწყვეტლივ ამაღლებს მასების კომუნისტურ შეგნებულობას.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას მისცემენ იმას, რომ იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენი სოციალისტური დემოკრატია, რომ საბჭოთა ხალხი კვლავაც ერთიანი და დარაზმული იყოს.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ ისწრაფვის ყველა სახელმწიფოსთან მშვიდობისაკენ, განუწყვეტლივ იბრძვის მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ბრძნულმა ლენინურ-სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ, სსრ კავშირის თანმიმდევრულმა და მტკიცე ბრძოლამ მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობისათვის ჩვენს ქვეყანას მოუპოვა ასეულ მილიონობით ადამიანთა სიმპათია და მხარდაჭერა ყველა ქვეყანაში. საბჭოთა კავშირი, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ყველა ქვეყნის მშრომელთა ავანგარდია მათს ბრძოლაში მტკიცე მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

(დასასრული მე-2 გვ.).

მ ი მ ა რ თ ვ ა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა

ყველა ამომრჩეველს, მუშებს, გლეხებს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, საბჭოთა ინტელიგენციას

საბჭოთა კავშირის დიადი მაგალითით შთაგონებული პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის გზას. მშვიდობისა და დემოკრატიის ფრონტის განმტკიცების მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს გამარჯვება მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხისა, რომელმაც თავისი ქვეყნიდან განდევნა იმპერიალისტი მტაცებლები და შექმნა სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ევროპაში მშვიდობის საქმის უდიდესი გამარჯვებაა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა.

კომუნისტური პარტია კვლავ განუწყვეტლივ იბრძოლებს საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში. იგი იბრძოლებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ძმური ურთიერთობის განსამტკიცებლად. ახლა ამოცანა ის არის, რომ მშვიდობის მომხრე მთელი ძალების ერთიანობაზე დაყრდნობით ჩაშლილ იქნას იმპერიალისტი აგრესორების გეგმები, შეუძლებელი გახდეს ომი. საბჭოთა ხალხი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ორი სისტემის მშვიდობიანი შეჯიბრების დროს უზრუნველყოფილია სოციალიზმის გამარჯვება კაპიტალიზმზე. ამასთან საბჭოთა ადამიანები დარწმუნებული არიან, რომ თუ იმპერიალისტებმა ახალი ომი გააჩაღეს ჩვენი მშვიდობისმოყვარე ქვეყნის წინააღმდეგ, საბჭოთა კავშირი, რომელსაც მხარს დაუჭერენ მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები, სასტიკად გაანადგურებს ყველა აგრესორს.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას მისცემენ სსრ კავშირის ბრძნულ სტალინურ საგარეო პოლიტიკას, ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობას, იმას, რომ ფართოვდებოდეს და მტკიცდებოდეს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საერთაშორისო ფრონტი.

საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას და მის უშიშროებას საიმედოდ იცავს ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმია, რომელიც ომიდან გამოვიდა როგორც ჩვენი დროის პირველხარისხოვანი არმია, რომელსაც აქვს სრულყოფილი შეიარაღება, ჰყავს უაღრესად გამოცდილი მეთაურთა შემადგენლობა, აქვს მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებები. ომისშემდგომ წლებში საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეთაურთა და რიგითი შემადგენლობა განუწყვეტლივ სრულყოფს თავის საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას, ეუფლება მაღალ სამხედრო ტექნიკას, რასაც შეიარაღებულ ძალებს აწვდის სოციალისტური მრეწველობა. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები თავზარს სცემენ ყოველგვარ აგრესორსა და მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტებს. საბჭოთა ხალხს შეუძლია დაენდოს თავის სახელოვან არმიას.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების წარმატებანი უზრუნველყო კომუნისტურმა პარტიამ. ხელმძღვანელობს რა ლენინისა და სტალინის მითითებებით, რომ, სანამ კაპიტალისტური სამყარო არსებობს, სსრ კავშირზე იმპერიალისტური თავდასხმის საფრთხეც იარსებებს, კომუნისტური პარტია ამოცანად ისახავს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების განუხრელ განმტკიცებას.

ხმას მისცემენ რა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს, ამომრჩევლები ხმას მისცემენ იმას, რომ საბჭოთა კავშირის საზღვრები კვლავაც მიუვალი იყოს ყოველი მტრისათვის, რომ მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები, რომელნიც ფხიზლად იცავენ მოპოვებულ მშვიდობას და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს შრომას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ინტერესებს.

საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), რომელიც საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელ ძალას წარმოადგენს, წარმატებით წარმართავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წინსვლას კომუნიზმისაკენ, ამ დიად მიზანს უქვემდებარებს მთელ ჩვენს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას. ლენინ-სტალინის პარტია მეურნეობის, კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგის შემდგომი მძლავრი განვითარების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია.

ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და აყვავებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე ბოლშევიკების პარტია იმიტომ აღწევდა წარმატებებს, რომ ეყრდნობოდა მილიონობით საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითს აქტივობას, განუწყვეტლივ განამტკიცებდა კავშირს მასებთან, მუდამ ყურადღებით ეკიდებოდა მასების ხმას.

ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგომი ისტორიული ამოცანების წარმატებითი შესრულება განუყრელად არის დაკავშირებული ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის, როგორც ჩვენი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობის, გაჩაღებასთან. პარტია ცდილობს, რომ ყველა პარტიულმა და უპარტიო ამხანაგმა გაბედულად გამოააშკარაოს ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი და დასახოს ამ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის გზები. პარტია ამოცანად ისახავს მხარი დაუჭიროს და განავითაროს საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის საღი კრიტიკა, ყოველი ღონე იხმაროს გამოაშკარავებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ეს იმისათვის არის საჭირო, რომ მთელი ჩვენი მუშაობა, მთელი ჩვენი კომუნისტური მშენებლობა დღითიდღე უმჯობესდებოდეს და ახალ-ახალ წარმატებას აღწევდეს.

კომუნისტურმა პარტიამ სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურით საბჭოთა ხალხის ნდობა და სიყვარული მოიხვეჭა. პარტია დიდად აფასებს ამ ნდობას, უფრთხილდება მას. კომუნისტურ პარტიას კვლავაც აქვს საბჭოთა ხალხის ნდობის იმედი.

კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობა ცხადყოფს, რომ მას ნამდვილად შესწევს უნარი დაიცვას ხალხის ინტერესები. მთელი მსოფლიოს მშრომელები ლენინ-სტალინის პარტიის მაგალითით სწავლობენ, თუ როგორ უნდა ბრძოლა ჩაგვრისა და ძალადობის წინააღმდეგ, ბრძოლა თავისუფლებისათვის, სოციალიზმისათვის. ჩვენი ქვეყნის ხალხები, დარწმუნებულნი თავიანთ ძალასა და სამართლიანი საქმის გამარჯვებაში, დარაზმულნი თავიანთი მებრძოლი ავანგარდის — ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგულნი, მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ბრძნული და ნაცადი ხელმძღვანელობით ნათელი მომავლის გზას უჩვენებენ ყველა ქვეყნის მშრომელთ.

კომუნისტურ პარტიას თავისი დიდი ბელადის, ლენინის უკვდავი საქმის გენიალური განმგრძობის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მტკიცე რწმენით მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმისაკენ.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს, მუშებს, გლეხებს, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებს, საბჭოთა ინტელიგენციას, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში უფრო მჭიდროდ დაირაზმონ კომუნისტური პარტიის გარშემო, საბჭოთა კავშირის ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გარშემო ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომუნისტს ხმა მისცენ დეპუტატობის უპარტიო კანდიდატებს ისეთივე ერთსულოვნებით, როგორც კომუნისტ კანდიდატებს. კომუნისტური პარტია იმედოვნებს, რომ უპარტიო ამომრჩევლები უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კომუნისტ კანდიდატებს ისეთივე ერთსულოვნებით მისცემენ ხმას, როგორც უპარტიო კანდიდატებს.

ამხანაგო ამომრჩევლებო! ხმა მიეცით კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს 1950 წლის 12 მარტს ერთსულოვნად მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან. არ უნდა იყოს არც ერთი ამომრჩეველი, რომელიც არ გამოიყენებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევის თავის საპატიო უფლებას.

დაე 1950 წლის 12 მარტის დღე იყოს საბჭოთა კავშირის მშრომელთა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღე, ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო მათი ერთიანობისა და დარაზმულობის დემონსტრაცია.

ყველანი არჩევნებზე!

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში!

გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდ ბელადსა და მასწავლებელს, ჩვენს მშობლიურ ამხანაგ სტალინს!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კომუნიკე

საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელშეკრულებისა და შეთანხმებათა ხელმოწერის შესახებ

ამ უკანასკნელი დროის მანძილზე მოსკოვში მოლაპარაკება წარმოებდა ერთი მხრივ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ი. ვიშინსკისა და მეორე მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნ მაო ძე-დუნსა და სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერსა და საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ჯოუ ენ-ლაის შორის, რომლის დროსაც განხილულ იქნა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთობის დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიური საკითხები.

მოლაპარაკებამ, რომელიც გულითადობისა და მეგობრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, დაადასტურა ორივე მხარის მისწრაფება ყოველმხრივ განამტკიცონ და განავითარონ მათ შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, აგრეთვე მათი სურვილი — ითანამშრომლონ საყოველთაო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

მოლაპარაკება დამთავრდა იმით, რომ 14 თებერვალს კრემლში ხელმოწერილ იქნა: 1. ხელშეკრულება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ; 2. შეთანხმება ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის, პორტ-არტურისა და დალნის შესახებ, რომლის ძალითაც იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზა სრულ საკუთრებად გადაეცემა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, ხოლო საბჭოთა ჯარები გამოყვანილ იქნებიან პორტ-არტურიდან და 3. შეთანხმება საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის გრძელვადიანი ეკონომიური კრედიტის მიცემის შესახებ სსრ კავშირიდან სამრეწველო და სარკინიგზო მოწყობილობის მიწოდების ასანაზღაურებლად.

ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას და შეთანხმებებს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მხრივ ა. ი. ვიშინსკიმ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ ბ-ნმა ჯოუ ენ-ლაიმ.

მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებისა და ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის, პორტ-არტურისა და დალნის შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით ბ-ნმა ჯოუ ენ-ლაიმ და ა. ი. ვიშინსკიმ გაცვალეს ნოტები იმის შესახებ, რომ ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის 1945 წლის 14 აგვისტოს დადებული შესაბამისი ხელშეკრულება და შეთანხმებანი ძალადაკარგულია, აგრეთვე, რომ ორივე მთავრობა აღნიშნავს 1945 წლის რეფერენდუმის შედეგად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებელი მდგომარეობის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების სრულ უზრუნველყოფას.

ამავე დროს ბ-ნმა ჯოუ ენ-ლაიმ და ა. ი. ვიშინსკიმ გაცვალეს აგრეთვე ნოტები საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ—უსასყიდლოდ გადასცეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ის ქონება, რომელიც საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებმა შეიძინეს იაპონელი მესაკუთრეებისაგან მანჯურიაში, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ—უსასყიდლოდ გადასცეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას პეკინის ყოფილი სამხედრო ქალაქის ყველა შენობა.

ქვემოთ მოყვანილია ზემოაღნიშნული ხელშეკრულებისა და შეთანხმებების სრული ტექსტები.

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ,

რომელთაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების გზით ხელი შეუშალონ იაპონიის იმპერიალიზმის აღორძინებას და აგრესიის გამეორებას იაპონიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც იაპონიას რაიმე ფორმით შეუერთდება აგრესიის აქტებში,

რომლებიც გამსჭვალული არიან სურვილით განამტკიცონ ხანგრძლივი მშვიდობა და საყოველთაო უშიშროება შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად,

რომლებიც ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობისა და მეგობრობის განმტკიცება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხების ძირეულ ინტერესებს,

გადაწყვიტეს ამ მიზნით დადონ ეს ხელშეკრულება და თავიანთ რწმუნებულებად დანიშნეს:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა—ანდრია იანუარის-ძე ვიშინსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი,

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ — ჯოუ ენ-ლაი, ჩინეთის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი.

ორივე სრულუფლებიანი წარმომადგენელი თავიანთ რწმუნებათა გაცვლის შემდეგ, რაც ჯეროვნად გაფორმებული და სრულ წესრიგზე აღმოჩნდა, შეთანხმდა შემდეგზე:

მუხლი 1.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს, რომ ისინი ერთობლივად მიიღებენ მათ განკარგულებაში არსებულ ყველა საჭირო ზომას, რათა დაშვებულ არ იქნას აგრესიის გამეორება და მშვიდობის დარღვევა იაპონიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეუერთდება იაპონიას აგრესიის აქტებში.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მხარეს თავს დაესხმიან იაპონია ან მისი მოკავშირე სახელმწიფოები და იგი ამრიგად აღმოჩნდება ომის მდგომარეობაში, ხელშეკრულების დამდები მეორე მხარე დაუყოვნებლივ აღმოუჩენს სამხედრო და სხვა დახმარებას მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით.

ხელშეკრულების დამდები მხარეები აგრეთვე აცხადებენ, რომ მზად არიან გულწრფელი თანამშრომლობის სულისკვეთებით მონაწილეობა მიიღონ ყველა საერთაშორისო მოქმედებაში, რომელთა მიზანი იქნება მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, და თავიანთ ძალებს მთლიანად მოახმარენ ამ მიზნების უსწრაფეს განხორციელებას.

მუხლი 2.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს ურთიერთთანხმობის საფუძველზე შეეცადოს, რაც შეიძლება მოკლე ვადაში დადოს იაპონიასთან საზავო ხელშეკრულება მეორე მსოფლიო ომში სხვა მოკავშირე სახელმწიფოებთან ერთად.

მუხლი 3.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე არ დადებს რაიმე კავშირს, რომელიც მიმართული იქნება მეორე მხარის წინააღმდეგ, აგრეთვე მონაწილეობას არ მიიღებს რაიმე კოალიციებში, აგრეთვე მეორე მხარის წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებასა ან ღონისძიებებში.

მუხლი 4.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე მოეთათბირება ერთმანეთს ყველა იმ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხში, რომლებიც შეეხებიან საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის საერთო ინტერესებს, და იხელმძღვანელებს მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცების ინტერესებით.

მუხლი 5.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე ვალდებულებას კისრულობს მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთებით და თანასწორუფლებიანობის, ურთიერთინტერესების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურთიერთპატივისცემის და მეორე მხარის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად—განავითარონ და განამტკიცონ ეკონომიური და კულტურული კავშირი საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის, ერთი მეორეს აღმოუჩინონ ყოველგვარი შესაძლო ეკონომიური დახმარება და განახორციელონ საჭირო ეკონომიური თანამშრომლობა.

მუხლი 6.

ეს ხელშეკრულება ძალაში შედის დაუყოვნებლივ მისი რატიფიკაციისთანავე; სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება პეკინში.

ეს ხელშეკრულება ძალაში რჩება 30 წლის მანძილზე, ამასთან, თუ ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარე ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე არ განაცხადებს ხელშეკრულების დენონსირების სურვილს, იგი კვლავ ძალაში დარჩება 5 წლის განმავლობაში და ამ წესის შესაბამისად პროლონგირებული იქნება.

შედგენილია ქ. მოსკოვში 1950 წლის 14 თებერვალს ორ ცალად, თვითეული რუსულ და ჩინურ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით
ა. ვიშინსკი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის რწმუნებით
ჯოუ ენ-ლაი

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის, პორტ-არტურისა და დალნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა აღნიშნავენ, რომ 1945 წლის შემდეგ შორეულ აღმოსავლეთის ვითარებაში მოხდა ძირეული ცვლილებანი, სახელდობრ: იმპერიალისტური იაპონია დამარცხდა; გომინდანის რეაქციული მთავრობა დამხობილ იქნა; ჩინეთი გადაიქცა სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად, ჩინეთში შეიქმნა ახალი, სახალხო მთავრობა, რომელმაც გააერთიანა მთელი ჩინეთი, განახორციელა საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა და დაამტკიცა, რომ უნარი შესწევს დაიცვას ჩინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, ჩინელი ხალხის ეროვნული პატივი და ღირსება.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიაჩნიათ, რომ ეს ახალი ვითარება ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის და პორტ-არტურისა და დალნის საკითხისადმი ახლებურად მიდგომის შესაძლებლობას იძლევა.

ამ ახალ გარემოებათა შესაბამისად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ გადაწყვიტეს დადონ ეს შეთანხმება ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის, პორტ-არტურისა და დალნის შესახებ.

მუხლი 1.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე შეთანხმდა, რომ საბჭოთა მთავრობა უსასყიდლოდ გადასცემს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის ერთობლივი მართვის ყველა თავის უფლებას მთელი იმ ქონებიანად, რომელიც რკინიგზას ეკუთვნის. გადაცემა მოხდება იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 1952 წლის დამლევისა.

ვიდრე გადაცემა მოხდებოდეს, ჩინეთის ჩანჩუნის რკინიგზის საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ერთობლივი მართვის ამჟამად არსებული მდგომარეობა უცვლელი რჩება, მაგრამ თანამდებობებზე საბჭოთა და ჩინეთის მხარეთა წარმომადგენლების დანიშვნის წესი იცვლება ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ და წესდება რიგითობა თანამდებობებზე (გზის მმართველი, გამგეობის თავმჯდომარე და სხვ.) დანიშვნისა განსაზღვრული ვადით.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

დარბაზობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოში

14 თებერვალს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ბ-ნმა ვან ძია-სიანმა დარბაზობა მოაწყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ მაო ძე-დუნის და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ჯოუ ენ-ლაის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი.

დარბაზობას აგრეთვე დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. მ. მოლოტოვი, გ. მ. მალენკოვი, ლ. პ. ბერია, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ა. ბულგანინი; ნ. ს. ხრუშჩოვი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ნ. ჩერნოუსოვი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ი. ვიშინსკი, ა. გ. ზვერევი, მ. ა. მენშიკოვი, ვ. ს. აბაკუმოვი, კ. პ. გორშენინი, ს. ვ. კაფტანოვი, ბ. პ. ბეშჩევი, ე. ი. სმირნოვი, ი. გ. ბოლშაკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ნ. ვ. როშჩინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, ადმირალი ი. ს. იუმაშევი, პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. პ. მიგუნოვი, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები.

ჩინეთის მხრივ დარბაზობას დაესწრნენ ჩრდილო-აღმოსავლეთი მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ლი ფუ-ჩუნი, პროფესორი ჩენ ბო-და, სინძიანის სახალხო პროვინციული მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ს. აზიზოვი, ბ-ნები უ სიუ-ჩიუანი, ოუ იან-ცინი, გენერალი ვან დუნ-სინი, ლიუ დუნი, ჩენ იან-ცი, ჯან ხუა-დუნი, ცაი შუ-ფანი, ნე ჩუნ-იუნი, ლო ვეი, მოსკოვში ჩინეთის საელჩოს წევრები და პასუხისმგებელი თანამშრომლები.

სტუმართა შორის იყვნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი ბ-ნი ბ. ლაშტოვიჩკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ბ-ნი დიუ ენ ხა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ქ-ნი ს. ბლაგოევა, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ბ-ნი ს. ბუგიჩი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი ბ-ნი ა. სობეკი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დესპანი ბ-ნი ნ. იდამჟაბი, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის დესპანი ბ-ნი ვ. ნატანაილი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის მეთაური ბ-ნი რ. აპელტი, პოლონეთის რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული ბ-ნი ი. ზამბროვიჩი, აგრეთვე აღნიშნული ქვეყნების საელჩოებისა და მისიების წევრები. (საქდესი).

შეთანხმება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის, პორტ-არტურისა და დალნის შესახებ

(დასასრული)

რაც შეეხება გადაცემის განხორციელების კონკრეტულ წესებს, ისინი შეთანხმებულ და განსაზღვრულ იქნება ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის მთავრობების მიერ.

მუხლი 2.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე შეთანხმდა იმის შესახებ, რომ საბჭოთა ჯარები გამოყვანილ იქნებიან პორტ-არტურის სამხედრო-საზღვაო ბაზიდან, რომელიც ერთობლივ სარგებლობაში იმყოფება, და ნაგებობანი ამ რაიონში გადაეცემა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 1952 წლის დამლევისა, ამასთან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა საბჭოთა კავშირს ომნაზღაურებს ნაგებობათა აღდგენისა და შენებლობის ხარჯებს, რაც საბჭოთა კავშირმა 1945 წლიდან გასწია.

იმ პერიოდისათვის, სანამ საბჭოთა ჯარები გამოყვანილ იქნებიან და აღნიშნულ ნაგებობათა გადაცემა მოხდება, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მთავრობები თანაბარი რაოდენობით დანიშნავენ სამხედრო წარმომადგენლებს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის გაერთიანებული სამხედრო კომისიის შესაქმნელად, რომელშიც თავმჯდომარედ რიგრიგობით იქნება ორივე მხარე და რომლის გამგებლობაშიც იქნება სამხედრო საქმეები პორტ-არტურის რაიონში; ამ ნაწილში კონკრეტულ ღონისძიებებს განსაზღვრავს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის გაერთიანებული სამხედრო კომისია სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც ძალაში შევა ეს შეთანხმება, და ეს ღონისძიებანი განხორციელებულ იქნება მას შემდეგ, რაც მათ დაამტკიცებენ ორივე მხარის მთავრობები.

აღნიშნულ რაიონში სამოქალაქო დამნიშნულობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის უშუალო გამგებლობაში უნდა იმყოფებოდეს. საბჭოთა ჯარების გამოყვანამდე საბჭოთა ჯარების განლაგების ზონა პორტ-არტურის რაიონში უცვლელი დარჩება ამჟამად არსებული საზღვრების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დამდებ რომელიმე მხარეს თავს დაესხმის იაპონია ან რომელიმე სახელმწიფო, რომელიც შეუერთდება იაპონიას, და ამის შედეგად იგი ჩაბმულ იქნება საომარ მოქმედებაში, ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შეუძლიათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადებით და საბჭოთა მთავრობის თანხმობით ერთობლივად გამოიყენონ პორტ-არტურის საბჭოთა-საზღვაო ბაზა აგრესორის წინააღმდეგ საომარი მოქმედების ერთობლივად წარმოებისათვის.

მუხლი 3.

ხელშეკრულების დამდები ორივე მხარე შეთანხმდა იმის შესახებ, რომ ნავსადგურ დალნის საკითხი განხილულ უნდა იქნას იაპონიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ.

რაც შეეხება დალნის აღჭურვილობას, იგი მთლიანად ეკუთვნის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას.

დალნში ამჟამად არსებული მთელი ქონება, რომელიც საბჭოთა მხარის დროებითის გამგებლობაში იმყოფება ან პასუხიანი აქვს ალებული, უნდა მიიღოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ. აღნიშნული ქონების მიღების საშუალოთა განსახორციელებლად საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მთავრობები ხიმხავენ სამ-სამ წარმომადგენელს თვითეული მხარისაგან გაერთიანებული კომისიის შესაქმნელად, რომელიც ამ შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ სამი თვის განმავლობაში განსაზღვრავს ქონების გადაცემის კონკრეტულ წესებს და ორივე მხარის მთავრობების მიერ გაერთიანებული კომისიის წინადადებათა დამტკიცების შემდეგ დაამთავრებს მათს განხორციელებას 1950 წლის განმავლობაში.

მუხლი 4.

ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი რატიფიკაციის დღიდან. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება პეკინში.

შედგენილია მოსკოვში 1950 წლის 14 თებერვალს, ორ ცალად, თვითეული რუსულ და ჩინურ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის რწმუნებით
ა. ვიშინსკი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის რწმუნებით
ჯოუ ენ-ლაი

შეთანხმება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობას შორის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის კრედიტის მიცემის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა დათანხმდა დააკმაყოფილოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თხოვნა ჩინეთისათვის სესხის მიცემის შესახებ იმ მოწყობილობისა და სხვა მასალების ღირებულების ასანაზღაურებლად, რომელის ჩინეთისათვის მიწოდებაზე დათანხმდა საბჭოთა კავშირი, ორივე მთავრობა შეთანხმდა შემდეგზე:

მუხლი 1.

სსრ კავშირის მთავრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას აძლევს კრედიტს დოლარული ეკვივალენტით 300 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით იმ ანგარიშით, რომ უნდა წმინდა ოქრო ღირს 35 ამერიკული დოლარად.

იმის გამო, რომ ჩინეთი მეტისმეტად გაჩანაგებულია, რადგან მის ტერიტორიაზე ხანგრძლივი საომარი მოქმედება წარმოებდა, საბჭოთა მთავრობა დათანხმდა კრედიტი მისცეს შეღავათიანი პირობებით წლიური ერთი პროცენტის ანგარიშით.

მუხლი 2.

1 მუხლში აღნიშნული კრედიტი გაიცემა ხუთი წლის განმავლობაში, დაწყებული 1950 წლის 1 იანვრიდან თანაბარ ნაწილებად კრედიტის 1/5 თვითეული წლის განმავლობაში სსრ კავშირიდან მიწოდებული მოწყობილობისა და მასალების, მათ შორის ელექტროსადგურების, მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნების მოწყობილობის, ქვანახშირისა და მადნეულის ამოსაღებად შახტების მოწყობილობის, რკინიგზისა და სხვა სატრანსპორტო მოწყობილობის, რელსებისა და ჩინეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის საჭირო სხვა მასალების ღირებულების ასანაზღაურებლად.

მოწყობილობისა და მასალის ნომენკლატურა, რაოდენობა, ფასები და მიწოდების ვადები დადგენილ იქნება მხარეთა განსაკუთრებული შეთანხმებით, ამასთან ფასები განსაზღვრულ იქნება მსოფლიო ბაზრების ფასების საფუძველზე.

მუხლი 3.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობა 1 მუხლში აღნიშნული კრედიტის, აგრეთვე მის პროცენტების დაფარვის ნედლეულის, ჩაის მიწოდებით, ოქროთი, ფერიკიანეთ დოლარებით. ნედლეულისა და ჩაის ფასები, მიწოდების რაოდენობა და ვადები დადგენილ იქნება განსაკუთრებული შეთანხმებით, ამასთან ფასები განისაზღვრება მსოფლიო ბაზრების ფასების საფუძველზე.

კრედიტის დაფარვა ხდება ათი წლის განმავლობაში თანაბარ ყოველწლიურ ნაწილებად მიღებული კრედიტის 1/10 თანხის ოდენობით არაუგვიანეს ყოველი წლის 31 დეკემბრისა. პირველი მორიგი გადასახადი უნდა იქნას არაუგვიანეს 1954 წლის 31 დეკემბრისა, ხოლო უკანასკნელი — 1963 წლის 31 დეკემბერს.

გადახდა კრედიტის პროცენტებისა, რომლებიც დარიცხულ იქნება კრედიტის შესაბამისი ნაწილის გამოყენების დღიდან, ხდება ყოველ ნახევარ წელიწადში.

მუხლი 4.

ამ შეთანხმებით გათვალისწინებული კრედიტის ანგარიშსწორებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო ბანკი განსაკუთრებულ ანგარიშებს გახსნიან და ერთობლივად დადგენენ ამ შეთანხმების მიხედვით ანგარიშსწორებისა და ანგარიშების წარმოების წესს.

მუხლი 5.

ეს შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და რატიფიცირებულ უნდა იქნას. სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდება პეკინში.

შედგენილია მოსკოვში 1950 წლის 14 თებერვალს ორ ცალად, თვითეული რუსულ და ჩინურ ენაზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის რწმუნებით
ა. ვიშინსკი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის რწმუნებით
ჯოუ ენ-ლაი

ა. ი. ვიშინსკის სიტყვა

ბატონო თავმჯდომარეო ცენტრალური სახალხო მთავრობისა,

ბატონო პრემიერო სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოსა,

ბატონებო!

დღეს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობის ისტორიაში ახალი, შესანიშნავი ფურცელი ჩაიწერა. დღეს ხელშეწერილ იქნა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები — მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, შეთანხმება ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის, პორტ-არტურისა და დალნის შესახებ, შეთანხმება გრძელდგიანი ეკონომიური კრედიტის შესახებ, რომელიც ხელშეწერის გამო ენთუზიაზმ უდიდესი ქმაყოფილების გრძნობით შეხვედება ორა მორტი მთელი საბჭოთა ხალხი, ორივეგ მშვიდობის, დემოკრატიის და პროგრესის ყველა მეგობარი.

მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ეს ზემოსენებული შეთანხმებანი, რომლებიც ემყარებიან თანასწორუფლებიანობის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპების პატივისცემის, განაპირებულებენ ისტორიულ კავშირს საბჭოთა კავშირის ხალხსა და ჩინეთ ხალხს შორის. საბჭოთა ხალხი მეფან მეგობრობისა და პატივისცემის უდიდესი გრძნობით ფაო გამსჭვალული ჩინეთ ხალხისადმი, ფეოდალური და იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ მისი ამირული განმანთავისუფლებელი ბრძოლისადმი ჩინეთი ხალხის ბელადის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით. საბჭოთა ხალხი ამ ბრძოლისადმი თავის უცვლელ თანაგრძნობაში ემყარებოდა იმ ფაქტს რშეგანს, რომ როგორც საბჭოთა ხალხის ბელადმა ი. ს. სტალინმა ჯერ კიდევ 1925 წელს თქვა, „სამამართულ და სამოთლანობა მთლიანად ჩინეთის რევოლუციის მბარეზეა".

„ეს რატომ თანავეგრნობთ, — თქვი მაშინ ი. ს. სტალინმა, — და კვლავაც თანავრგნობთ მოვეკოდებთ ჩინეთის რევოლუციას მის ბრძოლაში იმპერიალისტთა ეღლისაგან ჩინეთი ხალხის განთავისუფლებისა და ერთ ხალხელშეფოდ ჩინეთის გაერთიანებისათვის".

საბჭოთა ხალხი მეფან თანაგრძნობით ეკოდებოდა ჩინეთი ხალხის განთავისუფლების საქმეს. მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რაც დღეს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, გამოხატავს ორივე ჩვენი ხალხის მისწრაფებას მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განსამტკიცებლად.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს შეთანხმებას ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის, პორტ-არტურისა და დალნის შესახებ. შეთანხმებებში აღნიშნულია, რომ 1945 წლის შემდეგ ძარცული ექსპლუატაციის მიზეზ შორეული აღმოსავლეთის ტერიტორიაზე; ეს ექსპლუატაცია საშეალებას იძლევა ახლებურად მიეფდგეთ ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის, პორტ-არტურისა და დალნის საკითხს. ამ შეთანხმების თვითეული მუხლი მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირი დიდი პატივისცემით ეკოდება ჩინეთი ხალხის ეროვნულ დამოუკიდებლობას და ეროვნული უფლებებსა და ინტერესებს, მიწმობს საბჭოთა სოციალისტური პროლეტარის პრინციპების სიდიადეს.

ჩვენი ხალხების მტკიცე გადაწყვეტილება — განვითარონ და განამტკიცონ ეკონომიური და ეკულტურული ურთიერთობის საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის და ეკონომიური დახმარება გაუწიონ ერთმანეთს — დიდი საფუძველად შეთანხმებასა ამბის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირმა გრძელვადიანი ეკონომიური კრედიტი მისცეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

დღეს ხელმოწერილი ხელშეკრულება და შეთანხმებანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის უდიდეს წვლილს წარმოადგენს მთელ მსოფლიოს მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცების საქმეში.

ნება მომაბარეთ, ბატონო თავმჯდომარე და ბატონო პრემიერო, მოგილოცოთ ამ ისტორიული აქტების ხელმოწერა, რომელიც ჩვენს კავშირსა და მეგობრობას განამტკიცებენ.

განმტკიცდეს და ზედან ეოცტანდეს კავშირი და მეგობრობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხებს შორის.

ბ-ნ ჯოუ ენ-ლაის სიტყვა

ბატონო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო, ბატონო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრო, ბატონებო!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის დღეს ხელშეწერილი იქნა მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ახალი ხელშეკრულება, შეთანხმება ჩინეთის ჩანჩურის რკინიგზის, პორტ-არტურისა და დალნის შესახებ, შეთანხმება ჩინეთისათვის კრედიტის მიცემის შესახებ, აგრეთვე ბოდი ნოტების გაცვლა. ილინიშნეთ ხელშეკრულებისა და შეთანხმებათა დადება ეშკარეა ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ფიდი ხალხების ძმური ინტერესებს და მაჯვენელია ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის შორის ძმური მეგობრობისა და მეგობრი თანამშრომლობისა. ხელშეკრულებისა და შეთანხმებათა დადება განსაკუთრებით გამოხატავს ჩინეთ ხალხის ბელადის მაო ძე-დუნის ინიციატივა. ეს ექსპლუატაციის ბოლოს ეკოდებოდა ჩინეთ ხალხი ეროვნული ეკონომიკა ეკონომიური ეკონომიკა ეკონომიური ეკონომიკა ეკონომიური

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

ვანებით ჩატარდა წინასაარჩევნო კრებები, რომლებზეც დასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები. თბილისის მშრომელებმა, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, თავიანთ პირველ კანდიდატად ერთსულოვნად დასახელეს დიდი სტალინი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული ამიერკავკასიის ზოგიერთი ხელმძღვანელი, აგიტპუნქტების გამგეები.

რაიკომმა შეცდომა დაუშვა, როცა მაკანონის ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული აგიტპუნქტის გამგედ დაამტკიცა ამხ. კინქვაძე, რომელსაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, საჭირო მომზადება არა ჰქონდა. რაიკომი იძულებული გახდა ეს შეცდომა გადასწორებინა, როცა საარჩევნო კამპანია უკვე გაჩაღებული იყო.

საარჩევნო კამპანიაში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობის შესახებ პლენუმს უამბო კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ზ. ავაკიანმ.** ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციები ახალგაზრდა ამომრჩევლებს აცნობენ დებატების არჩევნების შესახებ. ამ მიზნით შექმნილია ახალგაზრდობის 196 სპეციალური ჯგუფი.

საწარმო-დაწესებულებებში ახლა მუშაობს 1.500 კომკავშირული აგიტატორი. თითქმის ამდენივე [illegible]ავშირელი მართავს საუბრებს ამომრჩევლებთან მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ახალგაზრდობისათვის ეწყობა ლექციები სტალინური კონსტიტუციის, საარჩევნო კანონის, ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ქალაქის თითქმის ყველა რაიონში შექმნილია კომკავშირული სამხატვრო ბრიგადები, რომლებიც გამოდიან აგიტპუნქტებში, კლუბებსა და თეატრებში.

ეწყობა ქალაქის ახალგაზრდა ამომრჩევლთა შეხვედრა ჯარის ნაწილებს წარმომადგენლებთან.

ამხ. კვაჭაძემ გააკრიტიკა სახელმწიფო ოპერის, კამკოო-მაუდის ფაბრიკის და ზოგიერთი სხვა საწარმოს პირველი და კომკავშირული ორგანიზაციები მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებებისათვის.

ლენინის რაიონი ქალაქის უდიდესი სამრეწველო რაიონია. აქ არის ისეთი დიდი საწარმოები, როგორიცაა სტალინის სახელობის ორთქმავალთა-ვაგონსახმარნოტო ქარხანა, კიროვის სახელობის ბალასმშენებელი ქარხანა, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, სართავ-სატრიოტაჟო კომბინატი, საორთქმავლო და საელექტრომავლო დეპოები და სხვ. პარტიის რაიკომის მდივანმა ამხ. **მ. მაღრაძემ** პლენუმს უამბო, თუ რა პატრიოტული ალმიდონია ფაბრიკა-ქარხნებში საარჩევნო კამპანიის დროებში, შეჯიბრებაში ჩაბმულ საწარმოთა უმმაღლესობამ წარმატებით დაამთავრა იანვრის პროგრამა. თებერვლის ყოველი დღე ხასიათდება მაღალი საწარმო მაჩვენებლებით.

რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი ორგანიზაციული-ტექნიკური მზადება ჩატარა არჩევნებისათვის: შექმნილია 37 საარჩევნო უბანი, გაფორმებულია მათი შენობები, დროზე იქნა გამოკრული ამომრჩეველთა სიები. ბაგრამ ყველაფერი როდი გაკეთებულა. პირველად პარტიული ორგანიზაციები (ქალთა 38-ე საშუალო სკოლის, № 80 საბავშვო ბაღის, ვაჟთა მე-18 საშუალო სკოლის და სხვ.) ჯერ-ოდესვე აფასებენ არჩევნებისათვის ტექნიკური მომზადების საკითხებს, სუსტად ეხმარებიან უბნებს გაფორმებაში, ამომრჩეველთა სიების შემოწმებაში.

საარჩევნო კამპანიის დაწყებიდან ამომრჩევლთათვის მოეწყო 15 ენციკლოპედია, მხატვრული თვითმოქმედი წრეების 30 გამოსვლა.

პლენუმმ თავისი მუშაობის გამოცდილება გაიცნო ტრამვაიტროლეიბუსის სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული აგიტპუნქტების გამგეს ამხ. **ვ. ჯაჯანიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ აგიტატორთა დამპრაზნის ოთახ აგიტპუნქტმა მოაწყო 170 დიასახლისის ექსკურსია აღაბარის ყოფილ ბოლოვეიერ ბოლშევიკურ სტამბაში. დიასახლისთა მონაწილეობით აგიტპუნქტში რეგულარულად ეწყობა მხატვრული თვითმოქმედი წრეების გამოსვლა, ენციოლოპედიის ჩვენება.

26 კომისრის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. **ვ. პაპნიეფმა** თავის გამოსვლაში სრულიად მართებულად ცნო რასსაბუოს ალიკომის მუშაობის კრიტიკა. მან აღნიშნა, თუ რა ზომებია მიღებული დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად.

პლენუმმა მიიღო დადგენილება განხილულ საკითხზე.

პლენუმმს მიერ დასახული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს აღმოფხვრნენ ორგანიზაციულ-ტექნიკური ზზადების, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნების წარმატება.

მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ!

საფრანგეთის მუშაკთათვის მოკავშირეობის ეროვნული ფედერაციის

პარიზი. პრესის ცნობების თანახმად, სენ-ნაზაერში ჩაეფინა ინგლისის ეკიპაჟი „ემპრეს მარსეზი“. დოუნკერკის ეკიპაჟმა უარი თქვეს სამხედრო მასალაში დატვირთვით ეს გემი, და ხელისუფლებმა გემის დასატვირთავად ჯალიანები გამოიყენეს.

გაზეთები იუწყებიან, რომ მატაოდეს ბრაზილიის სოლიდარობა დოკერებთან, რომლებიც ებრძვიან ვიეტნამში კოლონიური ომის წინააღმდეგ. სხვადასხვა დემონსტრაციები ორგანიზაციეს, საწარმოთა კოლექტივებმა გაფიცეს დოკერთა დახმარების ფონდში უკვე შეიგზავნა 1.700 ათასზე მეტი ფრანკი.

გაზეთი „ლუმანიტეს“ ცნობით, სამაგრო თვალდაცვის 401-ე პოლკის ჯარისკაცთა ჯგუფმა დოკერთა დახმარების ფონდისათვის შეაგროვა ერთკვირეულად ათასნაირ ნივთებისა და ეწერი ბოლოს ბეთ, სადაც ნათქვამია: „ჩვენ ეს სამსახური შეფიერეთ ... ჩვენ ბევრ ... ...